განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე პარლამენტის რეგლამენტში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

გამომდინარე "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტიდან პარლამენტის რეგლამენტს ემატება პუნქტი პალატის საქმიანობის შემოწმების შესახებ დამოკიდებული აუდიტორის მიერ, რომელსაც დანიშნავს პარლამენტი. ეს პუნქტი ამოქმედდება 2009 წლის 1 ოქტომბრიდან.

ბ)კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი დამატებითი ხარჯების გამოყოფას 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.ბ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე 2009 წლიდან.

ბ.გ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება იწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას 2009 წლიდან, რომლის ზუსტი ოდენობაც დადგინდება შესაბამისი საერთაშორისო ტენდერის შედეგების მიხედვით.

ბ.ე)კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების გაუარესებას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება .

ბ.ვ)კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ)კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო. არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს კონტროლის პალატა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.